

შპს „გლდანი მოლი“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე
და საშუალო საწარმოებისთვის (IFRS for SMEs)

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სარჩევი

გვერდი

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში	5
სააღრიცხვო პოლიტიკა	6
ახსნა განმარტებითი შენიშვნები	
ამონაგები	7
რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება	8
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	8
ფული და ფულის ეკვივალენტები	8
სავაჭრო მოთხოვნები	8
ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება	8
საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	9

შპს „გლდანი მოლი“

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება
(ქართულ ლარი)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 იანვარი 2019	1 იანვარი 2019
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	10,016	76,835	109,742
სავაჭრო მოთხოვნები	7	656,238	401,272	113,067
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		4,959,496	3,705,997	2,837,587
სხვა მიმდინარე აქტივები		1,233,025	858,986	2,072,080
ძირითადი საშუალებები	8	17,907,253	18,958,808	20,124,571
სხვა გრძელვადიანი აქტივები		7,489,738	6,431,314	6,153,872
სულ აქტივები		32,255,766	30,433,211	31,410,919
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		1,530,096	1,063,273	863,947
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		1501		
საგადასახადო ვალდებულებები		130,892	169,489	163,856
გამოუმუშავებელი შემოსავალი		135616	77,699	1,515,729
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		11,859,570	9,166,640	7,084,839
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		30,814,869	28,152,335	27,638,931
სულ ვალდებულებები		44,472,544	38,629,437	37,267,302
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი		200	200	200
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		(12,216,978)	(8,196,226)	(5,856,582)
სულ კაპიტალი		(12,216,778)	(8,196,226)	(5,856,382)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		32,255,766	30,433,211	31,410,920

დავით ზიბზიბაძე
დირექტორი
შპს „გლდანი მოლი“
1 ოქტომბერი 2021

დავით ზიბზიბაძე

შპს „გლდანი მოლი“

მოგება-ზარალის, სხვა სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი ანგარიშგება
(ქართულ ლარი)

	შენიშ ვნა	2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი	2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი
ნეტო ამონაგები	3	3,502,192	4,576,541
თვითღირებულება	4	(2,528,512)	(3,014,339)
საერთო მოგება		973.680	1,562,203
დასაქმებულთა ანაზღაურება		(87,791)	(12,360)
ცვეთა და ამორტიზაცია		(1,199)	(1,521)
საპროცენტო შემოსავალი		883,703	801,498
საპროცენტო ხარჯი		(3,578,196)	(3,620,161)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	5	(265,175)	(249,607)
საოპერაციო მოგება		(2,074,978)	(1,519,947)
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		(0)	(82,010)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		(4,432)	(6,057)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		(1,941,142)	(732,029)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		(4,020,552)	(2,340,044)
მოგების გადასახადი		-	-
მოგება/(ზარალი)		(4,020,552)	(2,340,044)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		(4,020,552)	(2,340,044)
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		(8,196,226)	(5,856,382)
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(0)	(2,340,044)
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-	-
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		(12,216,778)	(8,196,426)

დავით ზიბზიბაძე

დირექტორი

შპს „გლდანი მოლი“

1 ოქტომბერი 2020

დავით ზიბზიბაძე

შპს „გლდანი მოლი“
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
 (ქართულ ლარი)

	2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი	2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1,492,625	1,619,198
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	0	0
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(1,559,444)	(1,652,932)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(66,819)	(33,734)
სავალუტო კურსის ეფექტი	0	827
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	76,835	109,742
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	10,016	76,835

დავით ზიბზიბაძე
 დირექტორი
 შპს „გლდანი მოლი“
 1 ოქტომბერი 2020

ლევო ზიბზიძე

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს გლდანი მოლი რეგისტრირებულია 2012 წლის 13 სექტემბერს თბილისში საქართველოში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით (სარეგისტრაციო და საგადასახადო ნომერი: 404957819). კომპანიის იურიდიული მისამართი არის ვაჟაფშაველას გამზ., N 70ბ, სად. 1, სართ. 1. კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს კომერციული ფართების გაქირავება. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მესაკუთრეა შპს „კაპიტოლ რიალ ისთეითი“ ს/კ 205215131 - 100%-იანი წილის მფლობელი. კომპანიის დირექტორი დავით ზიზიბაძე.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად: ისტორიული ღირებულების საფუძველზე, ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველი აღიარების შემდგომი ცვლილების გათვალისწინებით. ქვემოთ ჩამოთვლილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, გარდა საგანგებოდ აღნიშნულისა.

იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

საწარმოს ამონაგები მომსახურების გაწევიდან შეფასებულია მიღებული ან მისაღები შემოსავლის რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და მესამე მხარის სახელით/სასარგებლოდ მიღებული თანხების გამოკლებით, როგორცაა, მაგალითად სახელმწიფოს სახელით ამოღებული ბრუნვის გადასახადი, საქონლისა და მომსახურების გადასახადები და დამატებითი ღირებულების გადასახადი.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

სავაჭრო მოთხოვნები

მომსახურების გაწევა, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

3. ამონაგები

	2020
საიჯარო შემოსავალი	3,502,192
სულ	3,502,192

2020 წლის შემოსავლებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია კოვიდ პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა - პერიოდულმა ჩაკეტვამ, რაც მნიშვნელოვნად შეეხო სავაჭრო ცენტრებს.

4. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2020
ცვეთა და ამორტიზაცია	1,054,865
ოპერირების ხარჯები	1,469,790
რემონტის დანახარჯები	3,856
სულ	2,528,511

5. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

	2020
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	150,067
საკონსულტაციო ხარჯები და პროფესიული მომსახურება	85,678
დაზღვევა	15,067
სხვა ხარჯები	14,363
სულ	265,175

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2020
ნაღდი ფული სალაროში	6,716
ფული დაბანკო ანგარიშზე	3,300
სულ	10,016

7. სავაჭრო მოთხოვნები

	2020
სავაჭრო მოთხოვნები	656,238
სულ	656,238

8. ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგარები	ავიჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2019	3,799,395	15,026,590	101,260	31,563	-	18,958,808
შემოსვლა						
გასვლა				4,509		4,509
გადაფასება						
პერიოდის ცვლილება		(1,031,549)	(19,367)	(5,148)	-	(1,056,064)
31 დეკემბერი 2020	3,799,395	13,995,041	81,893	30,924	-	17,907,253

უზრუნველყოფა

კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები და შენობა გამოყენებულია უზრუნველყოფილი საბანკო სესხის გირავნობისთვის.

9. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

მსოფლიო პანდემიის გავლენა მნიშვნელოვანი იყო 2020 წლის პერიოდში, რაც გამოიხატა კრიზისულ პერიოდში შეზღუდვებით, განსაკუთრებით ეს შეზღუდვები შეეხო თავშეყრის ადგილებს და დაწესდა მკაცრი შეზღუდვები. პერიოდულად სავაჭრო ცენტრების საქმიანობა იზღუდებოდა, რაც პირდაპირ აისახა შემოსავლებზე. 2021 წლის თებერვლიდან მოიხსნა დაწესებული შეზღუდვები სავაჭრო ცენტრების მუშაობის შეზღუდვაზე, შეინიშნება კომპანიის შედეგების გაუმჯობესება და მიღებული აქვს უსაფრთხოების ზომები, როგორცაა თანამშრომელთა ვაქცინაცია-ტესტირება და გავრცელების პრევენცია (ტემპერატურის სკრინინგი, ვიზიტორთა რაოდენობის კონტროლი, სადეზინფექციო საშუალებები)